ივლიანე ხაინდრავა

სტატუს-კვოს შიდა დინამიკის თაობაზე

შესავალი

ქართულ-აფხაზური და ქართულ-სამხრეთოსური კონფლიქტების სივრცეში სტატუს-კვომ დაისადგურა. წლების მანძილზე მისი პოლიტიკურ-რიტორიკული ინდიკატორები უცვლელია: გაეროს გენერალური ასამბლეის ტრიბუნიდან საქართველოს პირველი პირები ყოველწიურად მოიხსენიებენ „ჩვენს აფხაზ და ოს დებსა და ძმებს“ და ხაზს უსვამენ კონფლიქტების მოგვარებაში მხოლოდ მშვიდობიანი მეთოდების ერთგულებას[1]. გენასამბლეა, თავის მხრივ, წლიდან წლამდე იღებს რეზოლუციებს აფხაზეთიდან და სამხრეთ ოსეთიდან დევნილების დაბრუნების უფლების შესახებ[2]. აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის/ცხინვალის რეგიონის დე ფაქტო ხელისუფლებები თბილისისგან ძალის გამოუყენებლობის შესახებ ხელშეკრულების გაფორმებას მოითხოვენ, რასაც, მათ შორის და უპირველესად, საკუთარი სტატუსის/სუბიექტობის აღიარებად აღიქვამენ. რუსეთი აცხადებს, რომ აღნიშნული კონფლიქტების მოგვარება, ერთი მხრივ, თბილისის, მეორე მხრივ კი, სოხუმისა და ცხინვალის ხელისუფლებების საქმეა და მოსკოვი მზადაა ხელი შეუწყოს ამას მხარეთა შორის თანასწორუფლებიანობის პრინციპზე დაყრდნობით. ევროკავშირი აგრძელებს არაღიარებისა და ჩართულობის პოლიტიკას (Non-Recognition and Engagement), სხვა საერთაშორისო ორგანიზაციებთან ერთად ხელოვნურ სუნთქვაზე აცოცხლებს „ჟენევის კონსულტაციებს“ და საკუთარი მისიის (EUMM) მეშვეობით თბილისის მიერ კონტროლირებადი ტერიტორიიდან აკვირდება გამყოფი ხაზების გასწვრივ განვითარებულ მოვლენებს. პერიოდულად იმართება შეხვედრები IPRM ფორმატში (ინციდენტების პრევენციისა და მათზე რეაგირების მექანიზმი), თუმცა ინციდენტები – გამყოფ ხაზზე ქართველების დაკავება – გრძელდება. ასეთია ვითარების გარეგნული მახასიათებლები 2008 წლის შემდეგ, რა პირობებშიც საუბარი კონფლიქტების *მოგვარებაზე*, არსებითად, არც კი მიმდინარეობს.

დაისადგურა განცდამ, რომ ქართულ-აფხაზური და ქართულ-სამხრეთოსური ურთიერთობები, მათ შორის – არაფორმალური (track-2) დიალოგის ფორმატში, სტაგნაციას განიცდის. ახალი იდეები და მიდგომები პრაქტიკულად აღარ ისმის, კონფლიქტების თემატიკაზე მომუშავე ქართული არასამთავრობო ორგანიზაციების წიაღიდან წამოსული ტრანსფორმაციული ხასიათის ინიციატივები[3] უპასუხო რჩება სოხუმიდან და ცხინვალიდან (მნიშვნელოვანწილად, საკუთრივ საქართველოს ხელისუფლებისგანაც), მოსკოვი გეგმაზომიერად აგრძელებს საკუთარი ინტერესების უზრუნველმყოფი კურსის გატარებას, რომელიც მეტ-ნაკლებად ემთხვევა ცხინვალის დე

---

[1] რაც ასახავს ქართული საზოგადოების განწყობებს. აქ და ქვემოთ ვეყრდნობით მონაცემებს *კვლევის* ანგარიშიდან „საქართველოში არსებული კონფლიქტები: აღქმები, დამოკიდებულებები, მოლოდინები“, CRRC, ISNC, კავკასიური სახლი, ლევან მიქელაძის ფონდი, 2024 წ. https://crrc.ge/wp-content/uploads/2025/05/conflicts-in-georgia-perceptions-attitudes-and-expectations-report_geo_2025.05.05.pdf

[2] იხ. მაგ.: 4 ივნისი, 2025 https://www.radiotavisupleba.ge/a/33433541.html

[3] იმავე ორგანიზაციების მიერ, რომელთა ინიციატივითაც ჩატარდა ზემოხსენებული *კვლევა*, შემუშავდა „საქართველოში კონფლიქტების ტრანსფორმაციის სამოქმედო გეგმა“ https://isnc.ge/research/sakartveloshi-konpliktebis-transpormatsiis-samokmedo-gegma

ფაქტო ხელისუფლებ(ებ)ის პოზიციას, მზარდ შეშფოთებას იწვევს აფხაზურ საზოგადოებაში და მთლიანად ეწინააღმდეგება საქართველოს მიზნებს. ევროკავშირი მრავალი და მრავალგვარი პრობლემის წინაშე აღმოჩნდა, რაც, ოფიციალურ თბილისსა და ბრიუსელს შორის კონსტრუქციული ურთიერთობების ჩამოშლასთან ერთად, ზღუდავს მის შესაძლებლობებს განხილვად მიმართულებაზე (მისი პოლიტიკისგან მხოლოდ არაღიარებაღა დარჩა).

იმავდროულად, ვითარება „გაყინული“ არაა და თვით ტერმინიც „გაყინული კონფლიქტები“ ვერაფერი შენაძენია პოლიტოლოგიური ლექსიკონისთვის, რადგან, გარეგნული უძრაობის პირობებშიც კი, კონფლიქტების მხარეთა საზოგადოებებშიც და საერთაშორისო ასპარეზზეც მიმდინარეობს მეტი ან ნაკლები მნიშვნელობის (ამჟამად – მეტი) პროცესები, რომლებიც ამა თუ იმ ფორმით აისახება კონფლიქტების სივრცეში, ცვლის ძალთა თანაფარდობას. დინამიკა ყოველთვის არის; საჭიროა მისი დანახვა და გაანალიზება. წინამდებარე ტექსტიც სწორედ გარეშე დამკვირვებლისთვის თუნდაც არცთუ თვალშისაცემი ტენდენციებისა და დინამიკის ანალიზის მცდელობას წარმოადგენს.

ქართული რეალიები

მიუხედავად იმისა, რომ მოუგვარებელი კონფლიქტების თემა სტაბილურად რჩება საქართველოს მოქალაქეთათვის ყველაზე საჭირბოროტო პრობლემების ნუსხაში[4], მას არც ერთხელ არ უთამაშია გადამწყვეტი მნიშვნელობის როლი საქართველოში ხელისუფლებების ცვლილებისას. 2003 წლის ვარდების რევოლუციის დღის წესრიგში ეს თემა საერთოდ არ იკითხებოდა, 2012 წელს ენმ-ის მარცხში კი მხოლოდ „ფონური“ დატვირთვის მატარებელი აღმოჩნდა – მ. სააკაშვილის რეჟიმით მოზღვავებული უკმაყოფილების ერთ-ერთი მიზეზი 2008 წლის აგვისტოს ომიც იყო. სინამდვილეში, ამ ომმა მხოლოდ დააგვირგვინა ავანტიურიზმისა და სულსწრაფობის სულისკვეთებით გამსჭვალული მისი „პოლიტიკა“ კონფლიქტური რეგიონების მიმართ, რომელიც გამოიხატა ისეთი კონტრპროდუქტიული ნაბიჯებით, როგორიც იყო ცხინვალის „ჰუმანიტარული შტურმი“, ერგნეთის ბაზრობის დახურვა, „ანტიკრიმინალური ოპერაცია“ კოდორის ხეობაში, დე ფაქტო ხელისუფლებებთან თავდაპირველად წამოწყებული დიალოგის საბოტაჟი...

ხელისუფლებაში მოსულმა „ქართული ოცნების“ კოალიციამ გაითვალისწინა ეს გამოცდილება და, წინამორბედისგან განსხვავებით, მოერიდა თემის ჰიპერაქტუალიზებას. კი, ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობისა და ერთიანობის მოტივი მუდმივად ჟღერდა, მაგრამ კონფლიქტების მოგვარების მოკლევადიან და რეალურ პერსპექტივად მისი წარმოჩენა კოალიციას არ უცდია. ნიშანდობლივია, რომ „რეინტეგრაციის საკითხებში“ სახელმწიფო მინისტრს „შერიგების საკითხებში“ სახელმწიფო მინისტრი ეწოდა (2014 წ. 1 იანვრიდან). სტატუს-კვოს პირობებში ამ უწყების მიღწევების არცთუ ამოუწურავი ჩამონათვალიდან სხვაზე უფრო

[4] 2.5-ჯერ მეტი გამოკითხული ფიქრობს, რომ საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენა უფრო მნიშვნელოვანია ევროინტეგრაციაზე, ვიდრე პირიქით. იმავდროულად ევროინტეგრაცია მიჩნეულია ქართულ-აფხაზურ და ქართულ-ოსურ ურთიერთობებზე დადებითი გავლენის მომხდენ ფაქტორად (აქ და შემდგომში შენიშვნები ავტორისაა).

„რეფერალური მომსახურების სახელმწიფო პროგრამის“ შემოღებამ დაიმსახურა მხარდაჭერა (მშვიდობიანი/ტრანსფორმაციული მუხტის მატარებელმა ინიციატივამ)[5].
2024 წლის 26 ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნების კამპანიასა და შემდგომ განვითარებულ პროცესებში კი „ქართულმა ოცნებამ“ (2016 წლის საპარლამენტო არჩევნების შემდეგ ის ერთპარტიულ რეჟიმში მართავს ქვეყანას) კონფლიქტების თემის ირიბი ინსტრუმენტალიზება მოახდინა ოპოზიციის (როგორც თვითონ უწოდებს – „კოლექტიური ნაცმოძრაობის“) წინააღმდეგ პოლიტიკურ შეხლა-შემოხლაში. ჯერ საარჩევნო კამპანიის მსვლელობაში ქ. გორში 17 სექტემბერს მოსახლეობასთან გამართულ შეხვედრაზე სიტყვით გამოსვლისას *გ. ივანიშვილმა* ოსების მიმართ ბოდიშის მოხდის საჭიროებაზე მიუთითა. ასეთი ნაბიჯი უცხო არაა ერებს შორის ურთიერთობების ნორმალიზების პრაქტიკაში, მაგრამ, როგორც წესი, ის ერთ-ერთია ხოლმე მიზანმიმართული, ხშირად – წინასწარ ურთიერთშეთანხმებული ნაბიჯების რიგში; განცხადებამ გორში კი ვითარების შეუსაბამოდ გაიჟღერა, რადგან სათანადო კონტექსტი არც მანამდე არსებობდა და არც ამ განცხადების შემდეგ შექმნილა.
არჩევნების შემდგომ კი ახალი მოწვევის პარლამენტმა მალევე შექმნა საგამოძიებო კომისია, თავდაპირველად – „ნაციონალური მოძრაობის“ ხელისუფლების გადაცდომებისა და დანაშაულების დადგენა/მხილების მიზნით (შემდგომში მისი მანდატი გაფართოვდა როგორც დროით, ისე სივრცით განზომილებებში[6]). საპარლამენტო მანდატების მფლობელი ოთხი ოპოზიციური პარტიის მიერ მისი ბოიკოტის გამო ეს კომისია, არსებითად, ერთპარტიული გამოდგა, რამაც იმთავითვე კითხვის ნიშნის ქვეშ დააყენა არა მხოლოდ მისდამი ნდობა, არამედ კანონის (ამ შემთხვევაში – პარლამენტის რეგლამენტის) სულისკვეთებასთან მისი შესაბამისობაც[7]. საბოლოოდ კომისიამ არა მხოლოდ მ. სააკაშვილისა და მისი პარტიის ბრალეულობა დაადგინა 2008 წლის აგვისტოს ომის ეპოპეაში (ცხადია, არა მხოლოდ ამ ეპიზოდში), არამედ შეამზადა ნაკლებად დამაჯერებელი საფუძველი ამჟამად სხვა ოპოზიციური პარტიის ლიდერის – გ. გახარიას – წინააღმდეგ სისხლის სამართლებრივი დევნისთვის „ჩორჩანას კაზუსის“ გამო[8], როცა ის შინაგან საქმეთა მინისტრი იყო „ქართული ოცნების“ მთავრობაში. ასე ჩანს, რომ „ქართული ოცნებაც“ და მისი მიმდევრებიც კმაყოფილნი არიან კომისიის მუშაობით (მისი დასკვნის საფუძველზე საკონსტიტუციო

[5] გამოკითხულთა მკაფიო უმრავლესობისთვის მისაღებია, რომ აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის/ცხინვალის რეგიონის ტერიტორიებზე მცხოვრებნი იღებდნენ უფასო სამედიცინო მომსახურებას საქართველოში.

[6] „2003-2012 წლებში მოქმედი რეჟიმის, ამ რეჟიმის პოლიტიკური თანამდებობის პირებისა და პოლიტიკურ პარტიებში გაერთიანებული მოქმედი და ყოფილი თანამდებობის პირების 2003 წლიდან დღემდე საქმიანობის შემსწავლელი საქართველოს პარლამენტის დროებითი საგამოძიებო კომისია“ HTTPS://WWW.PARLIAMENT.GE/MEDIA/NEWS/CATEGORY/2596

[7] პარლამენტის რეგლამენტის 61.3 მუხლის თანახმად, „დროებით საგამოძიებო კომისიაში საპარლამენტო ოპოზიციის წარმომადგენლობა არ უნდა იყოს კომისიის წევრთა საერთო რაოდენობის ნახევარზე ნაკლები“, რაც, არსებულ ვითარებაში, მხოლოდ პირობით ხასიათს ატარებდა.

[8] 2019 წლის აგვისტოში საქართველოს შს სამინისტრომ სოფ. ჩორჩანას მიმდებარე ტერიტორიაზე პოლიციის საგუშაგო განალაგა. ეს ნაბიჯი იმით იყო მოტივირებული, რომ ცხინვალის დე ფაქტო ხელისუფლება და რუსული საოკუპაციო ძალები ე.წ. ბორდერიზაციის პროცესში ემზადებოდნენ ამ ტერიტორიის საკუთარი კონტროლის ქვეშ მოსაქცევად.

სასამართლოში შეტანილია სარჩელი სამი პარტიის აკრძალვის მოთხოვნით), ხოლო ის ფაქტი, რომ საკუთრივ კონფლიქტების მოგვარების სივრცეში მომგებიანი პროპაგანდისტული არგუმენტით დაასაჩუქრეს ოპონენტები, მათ ნაკლებად აწუხებთ. ეს არგუმენტი კი ამა თუ იმ ინტერპრეტაციითა და არანჟირებით მყისიერად გაჟღერდა როგორც ცხინვალში, ისე სოხუმსა და მოსკოვშიც შემდეგი ფორმულის სახით: „აი, ხომ ვამბობდით, რომ ყველაფერში დამნაშავე ქართველები არიან; მათ ეს თვითონვე აღიარეს“. არ გვგონია საჭირო აქ იმის დასაბუთება, რომ სიტყვა „ყველაფერში“ აშკარად ამახინჯებს რეალობას.

სხვა არასახარბიელო მოვლენებიდან, რომლებიც განვითარდა საქართველოში კონფლიქტების კონტექსტში, უნდა აღინიშნოს მკვეთრი შეკვეცა იმ სივრცისა, რომელშიც მიმდინარეობდა შიდაქართული დიალოგი შერიგების, ტრანსფორმაციის, მოგვარებისა და თანმდევ საკითხებზე[9]. ამ სფეროში მომუშავე არასამთავრობო ორგანიზაციების საგრძნობი ნაწილი „უჰაერო სივრცეში“ აღმოჩნდა იმ საკანონმდებლო ცვლილებების შედეგად, რომლებიც ზღუდავენ მათი საქმიანობის თავისუფლებას, უქვემდებარებენ რა მას ხელისუფლების კონტროლს. საკუთრივ მთავრობა კი არაა კრეატიული მოწყვეტილი რეგიონების მიმართ ინიციატივებისა და ინოვაციების შემუშავება/შეთავაზების კუთხით, რამაც უკვე სპეციფიკური პოლიტიკის სახე მიიღო (პოლიტიკის არგატარებაც ხომ პოლიტიკაა). ასე, სახელმწიფო სტრატეგია ოკუპირებული ტერიტორიების მიმართ, რომელიც განახლებული სახით (პირველი და უკანასკნელი ასეთი სტრატეგია და სამოქმედო გეგმა ჯერ კიდევ 2010 წელს დამტკიცდა) უნდა წარმოედგინათ 2022 წელს, დღემდე არ გამოქვეყნებულა[10]. აქვე აღვნიშნავთ, რომ ევროკავშირის არაღიარებისა და ჩართულობის პოლიტიკა (NREP), რომელიც ქართული სტრატეგიის თანატოლია, ასევე არ დაქვემდებარებია შეფასებასა და კრიტიკულ გააზრებას *ჩართულობის* ნაწილში. ანტიანექსიური სტრატეგიაც, რომლის შექმნის საჭიროება აშკარა გახდა დროისა და ვითარებიდან გამომდინარე, არ დამდგარა მთავრობის დღის წესრიგში. სოხუმისა და ცხინვალის დე ფაქტო ხელისუფლებებთან უშუალო (ან, თუნდაც, track-1.5 ფორმატში) დიალოგის საჭიროებასაც მმართველი პარტია ვერ (ან არ) ხედავს[11].

სხვა გარემოებებთან ერთად, როგორიცაა, მაგალითად, მზარდი ურთიერთგაუცხოება[12], საერთო სურათი ტალღების ნებაზე ტივტივს გვაგონებს, როცა მცდელობაც კი არაა კურსის საწყისი, შუალედური და საბოლოო კოორდინატების დადგენისა, რომელ კურსზე დადგომის შესაძლებლობა მეტად თუ ნაკლებად შორეულ პერსპექტივაში შეიძლება გაჩნდეს. თუმცა, ამ მოსაზრების საწინააღმდეგო არგუმენტიც არსებობს:

---

[9] სამართლიანობა იმის აღნიშვნასაც მოითხოვს, რომ გამოკითხულთა უმრავლესობა ნაკლებად იცნობს არასამთავრობო ორგანიზაციებისა და საექსპერტო წრეების საქმიანობას კონფლიქტების სფეროში.

[10] უკრაინის წინააღმდეგ რუსეთის ომმა მართლაც „აბურდა“ ამ სტრატეგიის საგარეოპოლიტიკური მდგენელი, მაგრამ ომის დაწყებიდან უკვე სამ-ნახევარი წელიწადი გავიდა.

[11] გამოკითხულთა 80%-ზე მეტი მხარს უჭერს პირდაპირ დიალოგს.

[12] იხ.: **ივლიანე ხაინდრავა:** „კონფლიქტის მხარეებს შორის სოციალურ-კულტურული გაუცხოება: რამდენად სახიფათოა ქართულ-აფხაზური და ქართულ-ოსური შერიგების პერსპექტივისთვის?“, ლევან მიქელაძის ფონდი, აგვისტო-სექტემბერი 2020, https://mikeladzefoundation.org/uploads/files/2021-09/1631184217_ivliane-khaindarva-konfliqtis-mkhareebs-shoris-socialur-kulturuli-gauckhoeba.pdf

რომელ კურსზეა საერთოდ საუბარი, თუკი პოლიტიკური პროგნოზების სიზუსტე ერთობ ჩამორჩა მეტეოროლოგიურისას.

წარმოდგენები სამხრეთ ოსეთზე

ცნობილი მიზეზების გამო ქართველებს შეგვიძლია რაღაცის წაკითხვა ან მოსმენა სამხრეთ ოსეთის (და აფხაზეთის) შესახებ, მაგრამ საკუთარი თვალით ნახვა – არა. თუკი გავითვალისწინებთ, რომ ინფორმაცია ცხინვალის რეგიონში ცხოვრების თაობაზე მედიაში მწირია (უფრო მწირი, ვიდრე აფხაზეთის შემთხვევაში), საზოგადოებრივი აზრის გამოკითხვები იქ იშვიათი და არცთუ სანდოა, ხოლო სხვა პირისგან მოსმენილი ინფორმაცია, ბუნებრივად, სუბიექტურობის დაღის მეტად ან ნაკლებად მატარებელია, საუბარიც სწორედ ქართულ მხარეს არსებულ *წარმოდგენებზე* გვაქვს.

ამგვარ მდგომარეობას *კვლევის* შედეგებიც ადასტურებს: გამოკითხულთა 19% საერთოდ არაა, ხოლო 37% ნაკლებადაა ინფორმირებული აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთში მიმდინარე მოვლენების შესახებ, მიიჩნევს რა (58%), რომ მედიის მიერ მოწოდებული ინფორმაცია არასაკმარისია. თბილისის მიერ კონტროლირებად ტერიტორიებზე მცხოვრებთა მხოლოდ 13% პირადად იცნობს ერთ ადამიანს მაინც, ვინც ცხინვალის რეგიონში (გარდა ახალგორის რაიონისა) ცხოვრობს. იმავდროულად, სამხრეთელი ოსების მიმართ არსებულ განწყობებს უარყოფითი, ან, მით უფრო, მტრული ნამდვილად ვერ დაერქმევა: გამოკითხულთა 77% არაა წინააღმდეგი, რომ მისი ეთნიკური ჯგუფის წარმომადგენელი დაქორწინდეს ცხინვალის რეგიონში მცხოვრებ ეთნიკურ ოსზე, 88% მზადაა იქაურებთან სამეგობროდ, ხოლო 83% – საქმიანი ურთიერთობებისთვის (დევნილებში ეს მაჩვენებელი ოდნავ უფრო დაბალია, რაც გასაკვირი არაა). თითქმის იდენტურია პასუხები ორი, თითქოსდა ურთიერთგამომრიცხავი მიდგომის თაობაზე: „აფხაზებთან და ოსებთან მშვიდობიანი ურთიერთობების გასაუმჯობესებლად საჭიროა, რომ როგორც ქართულმა, ისე აფხაზურმა და ოსურმა მხარეებმა გაიაზრონ წარსულში დაშვებული შეცდომები“ – 82% სრულად ან უფრო ეთანხმება ამ მოსაზრებას, ხოლო მიდგომას, რომლის თანახმად „ურთიერთობები სუფთა ფურცლიდან უნდა დავიწყოთ მომავალზე ორიენტაციით“, 80% უჭერს მხარს. გამოკითხულთა უდიდეს უმრავლესობას (83%) მიაჩნია, რომ ქართველებს, აფხაზებსა და ოსებს შეუძლიათ მშვიდობიანი თანაარსებობა ერთ სახელმწიფოში.

დიამეტრულად განსხვავებულია სამხრეთ ოსეთის დე ფაქტო ხელისუფლებ(ებ)ის ხედვა[13]. თუკი 2008 წლამდე დომინირებდა საქართველოსგან მოწყვეტის, *მისგან* დამოუკიდებლობის მოპოვების იდეა (თუმცა 1990-იანების მეორე ნახევარში – ე. შევარდნაძისა და ლ. ჩიბიროვის დროს – თითქოს გაჩნდა ერთიანი სახელმწიფოს ფორმატში კონფლიქტის მოგვარების იმედები), აგვისტოს ომისა და რუსეთის მიერ სამხრეთ ოსეთის აღიარების შემდეგ რეალურად მხოლოდ რუსეთის შემადგენლობაში შესვლისა და მის პოლიტიკურ-სამართლებრივ სივრცეში არსებობის ფორმულაზეა ხან ხმამაღალი, ხანაც მოგუდული მსჯელობა. 2015 წლის შემდეგ კი მანაც ხალხური ზეპირსიტყვიერების სახე მიიღო, როცა რუსეთის ფედერაციასა და სამხრეთ ოსეთს შორის დაიდო ხელშეკრულება „მოკავშირეობისა და ინტეგრაციის შესახებ“ (აფხაზებმა

[13] **Кристина Пурен: «**В ПОИСКАХ ОБРАЗА БУДУЩЕГО ДЛЯ ЮЖНОЙ ОСЕТИИ», РСМД, 18 сентября 2025 https://russiancouncil.ru/analytics-and-comments/analytics/v-poiskakh-obraza-budushchego-dlya-yuzhnoy-osetii/

მაშინ მიაღწიეს ხელშეკრულების სათაურისა და ტექსტის გადასხვაფერებას საკუთარი სუბიექტობის სასარგებლოდ), რომელმაც რუსეთის ფედერაციის შემადგენლობაში ცხინვალის რეგიონის ინტეგრაციის გზაზე ფორმალური წინააღმდეგობაც კი მოხსნა.
რუსეთის ხელით სამხრეთ ოსეთმა პირდაპირი მნიშვნელობით შემოიღობა თავი დანარჩენი საქართველოსგან (ე.წ. ბორდერიზაცია) და, არსებითად, დაკმაყოფილდა რუსული სამხედრო ბაზისა და მისი მომსახურე პერსონალის დისლოკაციის ადგილის ფუნქციით ბუნებრივი საზღვრის – კავკასიონის – გადმოღმა. რამდენადმე ფასეული სხვა – სატრანზიტო, ტურისტული, წიაღისეული თუ სასოფლო-სამეურნეო დატვირთვის მატარებელი ის რუსეთისთვის არაა. დღეს და დღევანდელი სახით სამხრეთ ოსეთი ჩიხია და მისი „პოლიტიკური“ ყოფა, უმეტესწილად, კლანურ-კრიმინალური გარჩევებით ხასიათდება (რუსეთიდან წამოსულ დოტაციებზე წვდომა), ხოლო ყველა სხვა მხრივ ვლადიკავკაზი (და მის იქით გადაშლილი თვალუწვდენელი რუსეთი) გახდა მიზიდულობის ცენტრი. ასე, რუსეთის სხვადასხვა დონისა და პროფილის სასწავლო დაწესებულებებში სპეციალური კვოტებია გამოყოფილი ოსი და აფხაზი აბიტურიენტებისთვის, რაც, მათ შორის, დეპოპულაციას უწყობს ხელს (დე ფაქტო ხელისუფლების ოპტიმისტური სტატისტიკის მიუხედავად). ყოველ შემთხვევაში, ასე წარმოუდგენია ეს თბილისში მუდმივად მცხოვრებ ამ სტრიქონების ავტორს.

ცალკე ქვეთავს ამ მასალაში **აფხაზეთს** და მის გარშემო არსებულ ვითარებას არ მივუძღვნით, რადგან 2024 წლის დეკემბერში გამოქვეყნდა ავტორის მასალა[14], სადაც აისახა დაკვირვებები, რომლებიც ვალიდურია დღესაც (ავტორისვე აზრით). ამ უკანასკნელთაგან აქ მოვიტანთ მთავარს, ერთგვარად შემაჯამებელს: „აფხაზეთში პარადოქსული ვითარება შეიქმნა: საფრთხის მთავარი წყარო მისივე უსაფრთხოებისა და „დამოუკიდებლობის“ მთავარი და, არსებითად, ერთადერთი გარანტი რუსეთი გახდა“. დავამატებთ მხოლოდ ერთს: დღეს აფხაზები და ოსები (როგორც ჩრდილოელები, ისე სამხრეთელები) რუსეთის მხარეს იბრძვიან და იღუპებიან უკრაინის წინააღმდეგ მოსკოვის მიერ გაჩაღებულ ომში. აფხაზების შემთხვევაში ეს ფაქტი დამატებითი კონოტაციის მატარებელიცაა: ვ. პუტინის მიერ *უკრაინელობის*, როგორც მოვლენის წინააღმდეგ წარმოებულ ომში მის მხარეს ბრძოლა სხვა არაფერია, თუ არა ინდულგენცია რუსეთს, რომელმაც საუკუნე-ნახევრის წინ თავს დაატეხა აფხაზობას ისეთი ტრაგედია, როგორიც გახდა მუჰაჯირობა, და რომელმაც მრავალ და მრავალგვარ პრობლემას დაუდო სათავე.

Designed in Russia

2008 წლის რუსეთ-საქართველოს ომის შემდეგ დასადგურებული სტატუს-კვოს ძირითადი მახასიათებლები რუსეთმა განსაზღვრა. მიუხედავად იმისა, თუ ვინ და რა დოზით *არ მიიღო* ახალი რეალობა, დე ფაქტო დადგა ის, რაც დადგა, ანუ – 17-წლიანი სტატუს-კვო. როგორც ზემოთ აღინიშნა, ეს სტატუს-კვო სხვაზე უფრო მისაღები სამხრეთელი ოსებისთვის აღმოჩნდა, ვისი პროექტიც რუსეთში ინტეგრაციას გულისხმობდა (თუ რა ფორმით, ამაზე მაქსიმალისტური და მინიმალისტური თვალსაზრისები არსებობდა და არსებობს). თუმცა, ამ შემთხვევაშიც კი რუსეთმა

[14] https://southcaucasus.fes.de/fileadmin/Publications/2024/GEO-ABH_Conflict_20.12.2024_FINAL.pdf

თავისივე დადგენილი „წესებისგან“ გადახვევა არ ისურვა: რუსეთში შესვლის თაობაზე ცხინვალში დაგეგმილი რეფერენდუმი დაბლოკა და არც დე ფაქტო ხელისუფლების ინიციატივას – „ქართველთა მიერ ოსების გენოციდის“ აღიარებას რომ მოითხოვდა, დაუჭირა მხარი. ცხადია, ეს იმიტომ არ გაუკეთებია, რომ სამხრეთ ოსეთის დამოუკიდებლობის იდეა მისთვის ესოდენ ძვირფასია, ან ქართველთა დადანაშაულება იმაში, რაც მათ არ ჩაუდენიათ, კრემლს უსამართლოდ მიაჩნია. მან ამჯობინა არ მოეჭრა ყველა გზა ოფიციალურ თბილისთან სალაპარაკოდ, თუკი და როდესაც ამისთვის ხელსაყრელი (ცხადია – *მისთვის* ხელსაყრელი) მომენტი დაუდგება. გასაგებია, რომ სამხრეთ ოსეთის რუსეთის ფედერაციის შემადგენლობაში უკვე ფორმალურადაც შესვლისა და არარსებული გენოციდის აღიარების შემთხვევაში სალაპარაკოც არაფერი დარჩებოდა რა.

მოკლედ, რუსეთი – ისეთი, როგორიც არის – რჩება უმნიშვნელოვანეს და მუდმივმოქმედ ფაქტორად საქართველოში კონფლიქტების მოუგვარებლობის კუთხით და არც მათი ტრანსფორმაცია იქნება მისთვის სასურველი. თუმცა, ტრანსფორმაციულ ველზე შესაძლებლობები მაინც მეტია, მათ შორის – *მენტალური* ტრანსფორმაციის სივრცეში.

და სხვა (კონფლიქტების გამოძახილი)

მარჩიელობას იმის თაობაზე, თუ როდის და რით დასრულდება **ომი უკრაინაში**, აქ არ მოვყვებით; ყურადღებას შევაჩერებთ მხოლოდ იმ ორ მოდელზე, რომლებიც რუსეთმა გამოიყენა უკრაინის ოკუპირებული ტერიტორიების მიმართ. ოკუპაციის შემდეგ მალევე ხერსონისა და ზაპოროჟიეს ოლქები შეიყვანეს რუსეთის ფედერაციის შემადგენლობაში (2022 წლის სექტემბერში), ანუ მოახდინეს მათი ღია/დემონსტრაციული ანექსია (მათ შორის – ოლქების იმ ტერიტორიებზე პრეტენზიით, რომლებსაც ამ მასალაზე მუშაობის დასრულების მომენტისთვის უკრაინა აკონტროლებს). დონეცკისა და ლუჰანსკის ოლქების შემთხვევაში რუსეთმა ჯერ „დამოუკიდებლობა“ გამოცხადებინა თავის იქაურ მარიონეტებს, შემდეგ „პროქსი ომი“ აწარმოა უკრაინის წინააღმდეგ მათივე ხელით, მერე აღიარა მათი „დამოუკიდებლობა“ 2022 წლის თებერვალში (მოსკოვის გარდა ეს მხოლოდ ასადის სირიამ, ჩრდ. კორეამ, აგრეთვე – ცხინვალმა და სოხუმმა გააკეთეს), საბოლოოდ კი ამ „დამოუკიდებელი სახალხო რესპუბლიკების“ შესაბამისი მომართვის საფუძველზე შეიყვანა ისინი რუსეთის ფედერაციის შემადგენლობაში (ასევე 2022 წლის სექტემბერში), ანუ მათი ანექსიაც მოახდინა.

ორი მოდელი ერთნაირი დასასრულით. თუმცა, იმედია, დასასრული ჯერ არ დამდგარა.

ყარაბაღსა და მის გარშემო 2020-23 წლებში დატრიალებულ მოვლენებს არ მოუხდენია უშუალო გავლენა კონფლიქტებზე საქართველოში[15]. იმავდროულად, იმ ადამიანების გონებაში, ვინც ფიქრობს ამ კონფლიქტების შემდგომ ბედზე, „გამოილექა“ გარკვეული შთაბეჭდილებები/დასკვნები, რომელთაგან გამოვყოფთ სამს:

1. ხელსაყრელ დროსა და ვითარებაში კონფლიქტი შეიძლება მოგვარდეს *ისე*, როგორც ეს მოხდა ყარაბაღის შემთხვევაში;

[15] იხ. მაგ.: **გია ნოდია:** „საქართველოს კონფლიქტები ყარაბაღის მეორე ომის შემდეგ“, „პუბლიკა“, 18 ნოემბერი, 2021 https://publika.ge/article/saqartvelos-konfliqtebi-yarabaghis-meore-omis-shemdeg/

2. რუსეთი შეიძლება მოექცეს საკუთარ მოკავშირეს *ისე*, როგორც ის მოექცა სომხეთს ამ შემთხვევაში;
3. საერთაშორისო ორგანიზაციები: გაერო, ეუთო (თავისი „მინსკის ჯგუფითურთ“), ევროკავშირი, ევროპის საბჭო და ა.შ. – „ცხელ ფაზაში“ კონფლიქტის გადასვლისას შეიძლება მოიქცნენ *ისე*, როგორც მოიქცნენ ამ შემთხვევაში, ანუ – არანაირად.

რაც მთავარია: 2020 წლის სექტემბრიდან ყარაბაღის გარშემო განვითარებულმა პროცესმა დაადასტურა, რომ *მხოლოდ რუსეთს აწყობს კონფლიქტების მოუგვარებლობა*. როგორც კი კონფლიქტი ყარაბაღის გამო ამოიწურა, რუსეთის გავლენა აზერბაიჯანზე (თუკი ასეთი საერთოდ დარჩა) მინიმალური გახდა პოსტსაბჭოთა ეპოქის ნებისმიერ სხვა პერიოდთან შედარებით; სომხეთი კი მიზანმიმართულად ესწრაფვის რუსეთის „ექსკლუზიური ინტერესების სფეროდან“ თავის დაღწევას.

* * *

დასკვნა მოკლე და მარტივია: ქართულ-აფხაზური და ქართულ-სამხრეთოსური კონფლიქტების ტრანსფორმაცია, შემდგომში მათი ურთიერთმისაღებ საფუძველზე მოგვარების პერსპექტივის შენარჩუნებით, არაა მხოლოდ და უკლებლივ საქართველოს ინტერესი; არანაკლებ (მეტად თუ არა), ის აფხაზური და ოსური მხარეების სისხლხორცეულ ინტერესსაც წარმოადგენს.

ავტორი მადლობას უხდის ამ ტექსტში მრავალგზის მოხსენიებული კვლევის ინიციატორებსა და ავტორებს, რომლის მონაცემების საფუძველზეც შესაძლებელი გახდა მტკიცებით ფორმაში საუბარი თბილისის მიერ კონტროლირებად ტერიტორიებზე კონფლიქტების მიმართ არსებულ განწყობებზე.

ლიტერატურა:

ქართველ მკვლევართა სტატიების კრებული: „ქართულ-ოსური კონფლიქტი: სამშვიდობო გზის ძიება“, GFSIS, George Mason University, 2011, https://gfsis.org.ge/files/library/pdf/Georgian-2441.pdf

Ивлиан Хаиндрава: «ДВЕ ОСЕТИИ В КОНТЕКСТЕ РОССИЙСКО-ГРУЗИНСКИХ ОТНОШЕНИЙ», в сборнике статей «Россия и Грузия: в поисках выхода», Carnegie Moscow Center, EU, GFSIS, UNDP, 2011 https://carnegie-production-assets.s3.amazonaws.com/static/files/files__RUSSIA_AND_GEORGIA_SEARCHING_THE_WAY_OUT_Russian_Publication.pdf

Ивлиан Хаиндрава*:* «ТРАНСФОРМАЦИЯ: О роли грузино-абхазского и грузино-осетинского конфликтов в грузино-российских взаимоотношениях», в сборнике статей «В ПОИСКАХ ПУТЕЙ НОРМАЛИЗАЦИИ РОССИЙСКО-ГРУЗИНСКИХ ОТНОШЕНИЙ», GFSIS, Фонд им. Фридриха Эберта, 2017 https://gfsis.org.ge/files/library/pdf/Russian-2467.pdf

Ивлиан Хаиндрава: «ЦЕНА ПРИОБРЕТЕНИЙ», в сборнике «В поисках путей нормализации российско-грузинских отношений», GFSIS, Фонд им. Фридриха Эберта, 2018 https://gfsis.org.ge/files/library/pdf/Russian-2525.pdf

არჩილ გეგეშიძე: „ჟანრის კრიზისი თანამედროვე ქართულ-ოსურ ურთიერთობებში და გამოსავლის ძიება“, ნაციონალიზმისა და კონფლიქტების კვლევის ინსტიტუტი, 17 მაისი, 2020, https://www.isnc.ge/index.php/site/edition_detail/1/31

ივლიანე ხაინდრავა: „წითელი ხაზებისა და არა მხოლოდ მათ შესახებ“, GFSIS, ექსპერტის აზრი #151, 2020, https://gfsis.org//wp-content/uploads/2023/06/151-expert-opinion-geo.pdf

„ქართულ-ოსური ურთიერთობების გამოწვევები უკრაინაში მიმდინარე ომის ფონზე“, სტატიების კრებული, ლევან მიქელაძის ფონდი, Friedrich Ebert Stiftung, 2024, https://mikeladzefoundation.org/uploads/files/2024-05/1717080302_eseebis-krebuli_pdf.pdf

Olesya Vartanyan: “NO WAY FORWARD, NO WAY BACK”, IPS, November 25, 2024 https://www.ips-journal.eu/topics/democracy-and-society/no-way-forward-no-way-back-7939/?utm_campaign=en_1262_20241126&utm_medium=email&utm_source=newsletter

С.М.Маркедонов: «Россия на Южном Кавказе: меняющийся регион в меняющемся мире», Фонд Горчакова, аналитические тезисы №3, 2025 https://disk.360.yandex.ru/d/t7TvhAAdYoFUdA